ადამიანური კაპიტალის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, საქართველოს მაგალითი.

მაგისტრანტი თამთა შვანგირაძე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (შესაბამის) ფაკულტეტზე (შესაბამისი) დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი დანელია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თ.შვანგირაძე

29.06.2021

აბსტრაქტი

ადამიანური კაპიტალის განვითარება მნიშვნელოვანი ფუნდამენტია ქვეყნის მდგრადი და ინკლუზიაური განვითარების. საქართველოში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, არაერთი რეფორმა გატარდა ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობის მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმებმა გარკვეული პოზიტიური შედეგები მოიტანს, არ აღმოჩნდა საკმარისი შრომის ბაზრისთვის კარგი და კონკურენტუნარიანი კადრები შეექმნა საგანამანათლებლო დაწესებულებებს. საერთაშორისო შეფასებებით, ქართველი ახალგაზრდების კოგნიტური უნარები მნიშვნელოვნად ჩამორჩება მათი თანატოლების შედეგებს განვითარებული ქვეყნებიდან, რაც შრომის ბაზარს მნიშვნელოვნად აზარალებს.

მოცემული ნაშრომის გვთავაზობს სიღრმისეულ ანალიზს თუ რა გავლენა აქვს საქართველოში ადამიანური კაპიტალს ეკონომიკაზე და როგორ აისახება იგი დასაქმებულის შრომის პროდუქტიულობაზე. ნაშრომი შედგება ორი ფუნდამენტური ნაწილისგან, ერთი თეორიული ჩარჩოს შემნა, მეორე პრაქტიკული ნაწილი, რომელიც მოიცავს ეკონომიკური მოდელის შექმნას, რისი მიზანიცაა ზუსტი გავლენის ინდეტიფიცირება საქართველოში განათლებასა და ეკონომიკას შორის .

ეკონომიკურ მოდელში ადამიანური კაპიტალის ალტერნატიულ ცვლადად აღებულია ქართველი ახალგაზრდების კოგნიტური უნარების განმასზღვრელი ტესტების შეფასებები და გაკეთებულია ჰიპოთეტიური დაშვება თუ რა ეფექტი ექნება მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში შედეგების 50 ქულით გაუმჯობესებას ეკონომიკის ზრდაზე. ხოლო თვისებრივი კველევის კომპონენტი გვთავაზობს თემასთან დაკავშირებული სამი სექტორის: განათლების, ბიზნესისა და ეკონომიკის სექტორის წარმომადგენლების შეფასებებსა და რეკომენდაციებს საკითხთან მიმართებით. ნაშრომის ბოლოს კი, შემოთავაზებულია ავტორის შეფასებები და რეკომენდაციები.

მოცემული ნაშრომი სრული სურათია თუ რა გავლენა აქვს ადამიანურ კაპიტალს ეკონომიკურ ზრდაზე და რა გამოწვევების წინაშე დგას შრომის ბაზრი, ახალგაზრდა კადრების დასაქმების კუთხით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ადამიანური კაპიტალი, ეკონომიკური ზრდა, კოგნიტური უნარ-ჩვევები.

Abstract

Human capital development is an important foundation for the sustainable and inclusive development of the country. For the past two decades, a number of reforms have been carried out to promote human capital development in Georgia. Although the reforms have brought some positive results, it did not turn out to be enough for educational institutions to create good and competitive staff for the labor market. According to international assessments, the cognitive skills of Georgian youth are significantly lower than the results of their peers in developed countries, which significantly hurts the labor market.

This paper offers an in-depth analysis, what is the impact of human capital on the economy in Georgia and how does it affect the labor productivity of the employee. The paper consists of two fundamental parts, one is to create a theoretical framework, the other is a practical part, which includes the creation of an economic model, which aims to identify the exact impact between education and the economy in Georgia.

Assessments of cognitive skills tests of Georgian youth are taken as an alternative variable of human capital in the economic model and hypothetical assumption is being made on how the 50 point increase in results in mathematics and science will effect economic growth. And the Qualitative Research component offers topic-related assessments and recommendations on the issue of representatives of three sectors: education, business and economics. At the end of the paper, the author's evaluations and recommendations are proposed.

This paper provides a complete picture of the impact that human capital has on economic growth and what challenges the labor market faces in terms of youth employment.

Keywords: human capital, economic growth, cognitive skills.

მადლობა

მადლობა სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორს გიორგი დანელიას, რომელმაც ნაშრომის კვლევითი ნაწილის სრულყოფაში დიდი წვლილი შეიტანა.

აგრეთვე, მადლობა მინდა გადავუხადო ყველა რესპოდენტს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს თვისებრივი კვლევისფარგლებში და მათი ცოდნა და რეკომენდაციები გამიზიარა.